

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №338/ნ

2007 წლის 9 აგვისტო

ქ. თბილისი

ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის შევსების წესისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის ფორმის დამტკიცების შესახებ

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს:

ა) ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის შევსების წესი (დანართი №1);

ბ) ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა) ფორმა (დანართი №2);

გ) ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა NIV-100/ა) გაცემის პირობები (დანართი N3).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 3 დეკემბრის ბრძანება №01-42/ნ - ვებგვერდი, 03.12.2013წ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 19 ივლისის №228/ო ბრძანებით დამტკიცებული „სამედიცინო დოკუმენტაციის ფორმა №027-3/ა“.

3. ამ ბრძანების ამოქმედებამდე გაცემული „სამედიცინო დოკუმენტაციის ფორმა №027-3/ა“ ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

4. ბრძანება ამოქმედდეს 2007 წლის 1 სექტემბრიდან.

ლ. ჭიპაშვილი

შეტანილია ცვლილებები:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 15 ოქტომბრის ბრძანება №230/ნ - სსმ III, 20.10.2008, №153, მუხ.1518

2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 3 დეკემბრის ბრძანება №01-42/ნ - ვებგვერდი, 03.12.2013წ.

დანართი №1

ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის შევსების წესი

მუხლი 1

ეს წესი შემუშავებულია „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და ადგენს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის შევსების წესს.

მუხლი 2

1. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემაზე უფლებამოსილია ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულება (ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმის მიუხედავად) და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე სერტიფიცირებული ექიმი (შემდგომში – ექიმი-სპეციალისტი) კომპეტენციის ფარგლებში.

2. სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემულ ცნობას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა IV-100/ა), ხელს აწერს მკურნალი ექიმი და დაწესებულების

პასუხისმგებელი პირი (ხელმძღვანელი/მისი მოადგილე) და იგი უნდა დამოწმდეს დაწესებულების ბეჭდით. ექიმი-სპეციალისტის მიერ გაცემულ ცნობას ხელს აწერს თვითონ ექიმი და ამოწმებს პირადი ბეჭდით.

3. ცნობის გამცემი პირები უზრუნველყოფენ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობების აღრიცხვას სპეციალურ ჟურნალში, რიგითი ნომრის მინიჭებით.

4. (ამოღებულია - 03.12.2013, №01-42/5).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 3 დეკემბრის ბრძანება №01-42/5 - ვებგვერდი, 03.12.2013წ.

მუხლი 3

1. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა შესაძლებელია შეივსოს კალმით, გარკვეული ხელწერით ან კომპიუტერულად.

2. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის შევსებისას:

ა) **პირველ პუნქტში** მიეთითება ცნობის გამცემი დაწესებულების (ამბულატორია, სტაციონარი და ა.შ.) დასახელება ან ექიმი-სპეციალისტის გვარი და სახელი სახელმწიფო სერტიფიკატით მინიჭებული სპეციალობისა და სახელმწიფო სერტიფიკატის ნომრის მითითებით, აგრეთვე, სრული მისამართი და საკონტაქტო ტელეფონები;

ბ) **მე-2 პუნქტში** მიეთითება იმ დაწესებულების დასახელება, მისამართი და სხვა საკონტაქტო ინფორმაცია, სადაც იგზავნება ცნობა;

გ) **მე-3 პუნქტში** მიეთითება პაციენტის სახელი და გვარი;

დ) **მე-4 პუნქტში** – პაციენტის დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);

ე) **მე-5 პუნქტში** – პაციენტის პირადი ნომერი პირადობის მოწმობის მიხედვით;

ვ) **მე-6 პუნქტში** მიეთითება პაციენტის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი და სხვა საკონტაქტო ინფორმაცია;

ზ) **მე-7 პუნქტში** – მიეთითება პაციენტის სამუშაო ადგილი და თანამდებობა, მოსწავლის/სტუდენტის შემთხვევაში – იმ სასწავლო დაწესებულების/სკოლის დასახელება და კლასი/კურსი, სადაც იგი სწავლობს;

თ) **მე-8 პუნქტში** – „თარიღები“ მიეთითება:

თ.ა) გრაფაში „ა) ექიმთან მიმართვის“ – სამედიცინო შემოწმების გავლის მიზნით პაციენტის პირველი ვიზიტის თარიღი ექიმ-სპეციალისტთან, ამბულატორიაში ან სტაციონარში;

თ.ბ) გრაფაში „ბ) სტაციონარში გაგზავნის“ – სტაციონარში გაგზავნის თარიღი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პაციენტი ექიმი-სპეციალისტის ან ამბულატორიული დაწესებულების (ან სტაციონარის ამბულატორიული კაბინეტის) მიერ იქნა გადაგზავნილი სტაციონარში;

თ.გ) გრაფაში „გ) სტაციონარში მოთავსების“ – ის თარიღი, როდესაც პაციენტი მოთავსებულ იქნა სტაციონარში, მიუხედავად იმისა, ამბულატორიულად იქნა იგი გადაგზავნილი, თუ თვითდინებით ან სასწრაფო დახმარების ბრიგადის მიერ იქნა მიყვანილი;

თ.დ) გრაფაში „დ) გაწერის“ – სტაციონარიდან გაწერის თარიღი.

ი) **მე-9 პუნქტში** – ჩაიწერება დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ („ჯანმრთელი“, „პრაქტიკულად ჯანმრთელი“), ან სრული დიაგნოზი ძირითადი დაავადების, თანმხლები დაავადებისა და გართულებების ფორმულირებით და შესაბამისი კოდის მითითებით, დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის (შემდგომში - ICD-10) მიხედვით (მაგალითი: სტაციონარში მოთავსებულ იქნა პაციენტი ჰიპოგლიკემიური კომით, იგი დაავადებულია II ტიპის შაქრიანი დიაბეტით, აქვს ქრონიკული ტრაქეობრონქიტი, დიაბეტური რეტინოპათია, დიაბეტური ანგიოპათია. ამ შემთხვევაში სრული დიაგნოზი ფორმდება შემდეგნაირად: **ძირითადი დაავადება** – ინსულინდამოუკიდებელი შაქრიანი დიაბეტი ტიპი II (E11), **თანმხლები დაავადება** – ქრონიკული ტრაქეობრონქიტი (J42), **ძირითადი დაავადების გართულებები** – ჰიპოგლიკემიური კომა (E11.0), დიაბეტური რეტინოპათია (H36.0), დიაბეტური ანგიოპათია (I79.2));

კ) მე-10 პუნქტში მიეთითება გადატანილი დაავადებები (მათ შორის ბავშვთა ინფექციური დაავადებები). ეს პუნქტი ივსება იმ შემთხვევაშიც, თუ მე-9 პუნქტში ჩაწერილია დასკვნა – „ჯანმრთელი“ ან „პრაქტიკულად ჯანმრთელი“;

ლ) მე-11 პუნქტში იწერება მოკლე ანამნეზი, პაციენტის ყოფაცხოვრების პირობების, ოჯახური და სოციალური მდგომარეობის, აგრეთვე იმ მავნე ფაქტორების მითითებით, რომლებსაც შეეძლოთ გამოეწვია აღნიშნული დაავადება ან მისი გამწვავება;

მ) მე-12 პუნქტში მიეთითება იმ დიაგნოსტიკური გამოკვლევისა და ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციების ჩამონათვალი, რომლებიც ჩაუტარდა პაციენტს დიაგნოზის დასმის, დაზუსტების ან სამედიცინო შემოწმების მიზნით;

ნ) მე-13 პუნქტში მიეთითება დაავადების მიმდინარეობა: მწვავე, ქვემწვავე, ქრონიკული, მორეციდივე;

ო) მე-14 პუნქტში მიეთითება ჩატარებული მკურნალობა (მხოლოდ იმ დაავადებისათვის, რომლის გამოც მან მიმართა ცნობის გამცემ დაწესებულებას ან ექიმ-სპეციალისტს;

პ) მე-15 პუნქტი ივსება ამბულატორიული დაწესებულების ან ექიმი-სპეციალისტის მიერ პაციენტის სტაციონარში გადაგზავნის ან სტაციონარიდან სხვა სტაციონარში (რეფერალის და ა.შ. შემთხვევებში) გადაგზავნისას;

ჟ) მე-16 პუნქტში მიეთითება პაციენტის მდგომარეობა სტაციონარიდან გაწერის დროისათვის;

რ) მე-17 პუნქტში უნდა გაიწეროს ის რეკომენდაციები, რომლებიც აღნიშნული დაავადების გამო აწესებს გარკვეულ რეჟიმს პაციენტის ყოფა-ცხოვრებასა და შრომით საქმიანობაში;

ს) მე-18 პუნქტში ჩაიწერება იმ ექიმის სპეციალობა სახელმწიფო სერტიფიკატის მიხედვით, გვარი, სახელი, რომელმაც გაუწია ორგანიზება ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებას (სერტიფიცირებული ექიმი სპეციალობებში: „შინაგანი სნეულებები“, „საოჯახო მედიცინა“ ან „პედიატრია“) ან მკურნალობდა პაციენტს კონკრეტული დაავადების გამო;

ტ) მე-19 პუნქტის შესაბამის გრაფაში ხელს აწერს ცნობის გამცემი სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი (ან მისი მოადგილე) ან მკურნალი ექიმი (ექიმი-სპეციალისტი).

უ) მე-20 პუნქტში მიეთითება ცნობის გაცემის თარიღი შესაბამისი რიცხვის, თვისა და წლის აღნიშვნით;

ფ) ცნობაზე დაისმება სამედიცინო დაწესებულების ან ექიმი-სპეციალისტის პირადი ბეჭედი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 15 ოქტომბრის ბრძანება №230/ნ - სსმ III, 20.10.2008, №153, მუხ.1518

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 3 დეკემბრის ბრძანება №01-42/ნ - ვებგვერდი, 03.12.2013წ.

დანართი №2

სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა IV-100/ა

ცნობა

ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ

1. ცნობის გამცემი დაწესებულების დასახელება ან ექიმი-სპეციალისტის გვარი, სახელი, სახელმწიფო სერტიფიკატით მინიჭებული სპეციალობა, სახელმწიფო სერტიფიკატის ნომერი ან/და საკონტაქტო ინფორმაცია _____

2. დაწესებულების დასახელება, მისამართი, სადაც იგზავნება ცნობა _____

3. პაციენტის სახელი და გვარი _____

4. დაბადების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი) _____

5. პირადი ნომერი _____

(ივსება 16 წელს მიღწეული პირის შემთხვევაში)

6. მისამართი _____

7. სამუშაო ადგილი და თანამდებობა, (მოსწავლის/სტუდენტის შემთხვევაში – იმ სასწავლო დაწესებულების/სკოლის დასახელება და კლასი/კურსი, სადაც იგი სწავლობს)

8. თარიღები:

ა) ექიმთან მიმართვის _____

ბ) სტაციონარში გაგზავნის _____

გ) სტაციონარში მოთავსების _____

დ) გაწერის _____

9. დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ან სრული დიაგნოზი (ძირითადი დაავადება, თანმხლები დაავადებები, გართულებები) შესაბამისი ICD-10 კოდის მითითებით. _____

10. გადატანილი დაავადებები _____

11. მოკლე ანამნეზი _____

12. ჩატარებული დიაგნოსტიკური გამოკვლევები და კონსულტაციები _____

13. ავადმყოფობის მიმდინარეობა _____

14. ჩატარებული მკურნალობა _____

15. მდგომარეობა სტაციონარში გაგზავნისას _____

16. მდგომარეობა სტაციონარიდან გაწერისას _____

17. სამკურნალო და შრომითი რეკომენდაციები _____

18. მკურნალი ექიმი (ექიმი-სპეციალისტი) _____

19. დაწესებულების ხელმძღვანელის/ხელმძღვანელის მოადგილის/მკურნალი ექიმის (ექიმი-სპეციალისტის)

ხელმოწერა _____

20. ცნობის გაცემის თარიღი „_____“ _____“

ბეჭდის ადგილი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 15 ოქტომბრის ბრძანება №230/ნ - სსმ III, 20.10.2008, №153, მუხ.1518

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 3 დეკემბრის ბრძანება №01-42/ნ - ვებგვერდი, 03.12.2013წ.

დანართი №3

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 3 დეკემბრის ბრძანება №01-42/ნ - ვებგვერდი, 03.12.2013წ.

ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა) გაცემის პირობები

მუხლი 1

ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა) გაცემისას, ცნობაში წარმოდგენილი უნდა იყოს ოჯახის/სოფლის/უბნის ექიმის დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, გარდა ამ დანართის მე-2, მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებული გარემოებებისა.

მუხლი 2

სამედიცინო საჭიროების შემთხვევაში, დაავადების ან სხვა პათოლოგიური მდგომარეობის გამო ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა) გაიცემა მხოლოდ იმ დაავადებისათვის, რომლის გამოც მან მიმართა ცნობის გამცემ დაწესებულებას ან ექიმ-სპეციალისტს. ცნობის გაცემისას, გრაფაში „მკურნალი ექიმი (ექიმი-სპეციალისტი)“ ხელს აწერს ექიმი, რომელიც მკურნალობდა პაციენტს კონკრეტული დაავადების გამო ან ორგანიზება გაუწია ცნობის გაცემას (სამედიცინო დაწესებულების სერტიფიცირებული ექიმი, მათ შორის ოჯახის/უბნის ექიმი ან სხვა ექიმი-სპეციალისტი, მათ შორის სოფლის ექიმი).

მუხლი 3

1. დამსაქმებლის ხარჯით დასაქმებულის სავალდებულო პერიოდულ სამედიცინო შემოწმებასთან და სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებულ, ასევე, სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში ავტომობილის მართვის მოწმობისა და იარაღის შენახვის/ტარების უფლების მისაღებად წარსადგენ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობებში (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა) წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ იმ სპეციალობის ექიმთა დასკვნები, რომელთა კონსულტაციაც აუცილებელია „დამსაქმებლის ხარჯით დასაქმებულის სავალდებულო პერიოდული სამედიცინო შემოწმების შემთხვევათა ჩამონათვალისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 11 ივლისის №215/ნ ბრძანებით განსაზღვრული უკუნაჩვენები დაავადებებისა და ფიზიკური ანომალიების დასადგენად, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. სხვა საქმიანობების შემთხვევაში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული „დამსაქმებლის ხარჯით დასაქმებულის სავალდებულო პერიოდული სამედიცინო შემოწმების შემთხვევათა ჩამონათვალისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 11 ივლისის №215/ნ ბრძანებით, სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემისას, ცნობაში (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა) წარმოდგენილი უნდა იყოს ოჯახის/სოფლის/უბნის ექიმის დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. დამსაქმებლის ან კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციფიკური მოთხოვნის შემთხვევაში, ცნობაში წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ მოთხოვნის შესაბამისი სპეციალობის ექიმის დასკვნა.

მუხლი 4

საქართველოს ფარგლებს გარეთ გამგზავრების შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემისას, ცნობაში (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა) წარმოდგენილი უნდა იყოს ოჯახის/სოფლის/უბნის ექიმის დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ამასთან, იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მასპინძელი ქვეყნის სპეციფიკური მოთხოვნა, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობაში (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა) წარმოდგენილი უნდა იყოს მოთხოვნის შესაბამისი სპეციალობის ექიმის დასკვნა.